ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2526889

ნომერი: AR1391105

თარიღი : 29.03.2016

გაცემის თარიღი : 07.04.2016

გაცნობის თარიღი : 07.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამი ბაკურაძე პ/ნ 01011084222
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 48 კორ. 3ვ ბ. 42

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

დროებითი (საძირკველის არ მქონე) I კლასის პანდუსის (სარეკლამო მანქანის განსათავსებლად) მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა #1ბ. შ.პ.ს. "გრატო სითი სენთერ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.14.03.038.010), დროებითი (საძირკველის არ მქონე) I კლასის პანდუსის (სარეკლამო მანქანის განსათავსებლად) მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "გრატო სითი სენთერ"–ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.14.03.038.010, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015650234 16/11/2015წ. ასევე წარმოდგენილი მესაკუთრის თანხმობა და ფოტომონტაჟი), ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა #1ბ. შ.პ.ს. "გრატო სითი სენთერ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.14.03.038.010), დროებითი (საძირკველის არ მქონე) I კლასის პანდუსის (სარეკლამო მანქანის განსათავსებლად) მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესაძლებლობას, დროებით, 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.